ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის ივლისის 16.	№ 13 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 102. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

„ 103. „სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 218 №-ის დადგენილების დამატების შესახებ.

„ 104. სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულების დამტკიცების თაობაზე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10-ს დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

„ 105. პროფესიონალურ კავშირთა მოთხოვნით მომუშავეთა დათხოვნის შესახებ.

„ 106. ა/კსფსრ ტერიტორიაზე წყალმზომთა სავალდებულო შემოწმებისა და დადაღვის შესახებ.

„ 107. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ლუდისა, ღვინისა, პურის არყისა, სპირტზე დაყენებული ხილის სასმელისა (ნალივკა და ნასტოიკა) და ჭაჭის არყის არამეტრული ბოთლების წარმოების აკრძალვის შესახებ.

„ 108. შრომის ბირჟების მიერ მოწყობილ კოლექტივთა და საწარმოთათვის გადასახადებისა, გამოსაღებისა და ბაჟის გადახდევინების სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ.

„ 109. ზემაქსიმალური ჯამაგირების მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

„ 110. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დებულების მე-10 მუხლის დამატების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

102. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697 და 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 153) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-15 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ამა მუხლის „თ“ პუნქტში აღნიშნული ხარჯების საერთო თანხის 25% ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ფარგლებში დაიფარება საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტიდან. საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტიდან გადადებულ სახსარს ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებს შორის გაანაწილებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები—ამ ბიუჯეტების ძალოვნების მიხედვით“.

2. 23 მუხლის „თ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა მიერ ადგილობრივი საბჭოებისათვის გადაცემული სახსარი იმ ანარიცხებიდან, რასაც ეს მთავრობანი მიიღებენ სახელმწიფოდაზღვევის მოგებიდან, რომელიც დანიშნულია დაზღვევით გათვალსწინებულ შემთხვევათა წინასწარ თავიდან ასაცილებლად და წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ღონიძიებათათვის“.

3. 23 მუხლის მე-2 შენიშვნა ამოშლილ იქნეს.

4. 30 მუხლის „ვ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ახლად აგებული საცხოვრებელი შენობები—მთლად სამი წლის განმავლობაში აგების დღიდან—იმ პირობით, რომ აღნაგობის უფლების ხელშეკრულობის დანარჩენი ვადის განმავლობაში, ან შემდგომი ოცდაათი წლის განმავლობაში, უკეთუ შენობა აგებულია უვადო სარგებლობისათვის გადაცემულ ნაკვეთზე ან მიკუთვნებულ მიწაზე, გადასახადი გადახდევინებულ იქნეს არა უმეტეს, ვიდრე ნახევარი რაოდენობით“.

5. 30 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** „ვ“ პუნქტში აღნიშნული შეღავათი გაიცემა იმ პირობით, უკეთუ აგებული შენობის საცხოვრებელი სივრცე შეადგენს არა ნაკლებ ამ შენობის საერთო სივრცის სამოცდახუთმეტი პროცენტისა; ამასთანავე, საცხოვრებელ სივრცეში შედის სამზარეულო, საწინაკარო დერეფანი, ტალანი, აბაზანა, საპირფარეშო და საერთო სარგებლობის სხვა ამგვარი დამხმარე სადგომი.

ესევე შეღავათი ვრცელდება საცხოვრებლად გამოყენების მიზნით შენობის დამთავრებისა, მიშენებისა, დაშენებისა, გადაკეთებისა და აღდგენის ისეთ შემთხვევებზედაც, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით გათანაბრებულია აღნაგობასთან“.

6. 35 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბარგ-საქონლისა, სამგზავრო სისწრაფის ტვირთისა, სამგზავრო ბარგისა და ნორმალური ტარიფის პირველი ცხრა კლასის ტვირთისათვის—ორმოცდაათკეც რაოდენობას„.

7. მე-40[5] მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 40[5]. ის ფიზიკური პირი, რომელიც განახორციელებს ისეთი სახლის მშენებლობას, რაც გათვალისწინებულია „კერძო კაპიტალის ხარჯით საცხოვრებელი სადგომების მშენებლობის წამახალისებელ ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 17-ს დადგენილების 1-ლი მუხლით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 26 №-რი, მუხ. 231), განთავისუფლდება საბინაო გადასახადისაგან მის მიერ და მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრთა მიერ დაჭერილ საცხოვრებელ სივრცეზე“.

8. აღნიშნულ დებულებას დაემატოს მე-40[6] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„40[6]. საერთო-სამოქალაქო საბინაო სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრი და აგრეთვე მეაღნაგე-ცალკეული მოქალაქე სრულიად განთავისუფლდება საბინაო გადასახადისაგან ამ ამხანაგობისა და მოქალაქისაგან აგებულ სახლში მათ მიერ და მათ რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრთა მიერ დაჭერილ საცხოვრებელ სივრცეზე—სამი წლის განმავლობაში შენობის აგების დღიდან.

აღნაგობის უფლების ხელშეკრულობის მოქმედების დანარჩენი ვადის განმავლობაში, ან შემდგომი ოცდაათი წლის განმავლობაში, უკეთუ შენობა აგებულია აღნიშნული ამხანაგობისათვის უვადო სარგებლობად მიცემულ ნაკვეთზე, აღნიშნული პირები განთავისუფლდებიან ნახევარი საბინაო გადასახადისაგან.

საბინაო გადასახადის შეღავათი გაიცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ საცხოვრებელი სივრცე შეადგენს არა ნაკლებ მთლად აგებული შენობის საერთო სივრცის სამოცდახუთმეტი პროცენტისა.

შენიშვნა 1. ამა მუხლით დადგენილი შეღავათი ვრცელდება საცხოვრებლად გამოყენების მიზნით შენობის დამთავრებისა, მიშენებისა, დაშენებისა, გადაკეთებისა და აღდგენის ისეთ შემთხვევებზედაც, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით გათანაბრებულია აღნაგობასთან.

შენიშვნა 2. ამა მუხლით დადგენილი შეღავათის გაცემისათვის საცხოვრებელი სივრცის გამორკვევის დროს იგულისხმება, რომ აღნიშნულ სივრცეში შედის სამზარეულო, საწინაკარო დერეფანი, ტალანი, აბაზანა, საპირფარეშო და საერთო სარგებლობის სხვა ამგვარი დამხმარე სადგომი“.

ბ. საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესებში (ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-2 დანართი—ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლ მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ უფლება ეძლევათ გაავრცელონ ხოლმე ამა წესების მოქმედება ისეთ მუშებით დასახლებულ და საგარაკო ადგილებზე, რომელნიც მიკუთვნებულ არ არიან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებისათვის.“

2. მე 3 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** სამი წლის გასვლის შემდეგ შენობის აგების დღიდან რენტა გადახდევინებულ უნდა იქნეს ნახევარი რაოდენობით „ო“ პუნქტში აღნიშნულ ნაკვეთებზე აღნაგობის უფლების ხელშეკრულობის მთელი დანარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენი ვადის გამავლობაში და „პ“ დ „ჟ“ პუნქტებში აღნიშნულ ნაკვეთებზე—შემდგომი ოცდაათი წლის განმავლობაში“.

3. მე-3 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 2.** ამა მუხლის „ო“, „პ“ და „ჟ“ პუნქტებში აღნიშნული შელავათები გაიცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ აგებული შენობის საცხოვრებელი სივრცე შეადგენს არა ნაკლებ ამ შენობის საერთო სივრცის სამოცდახუთმეტი პროცენტისა. აღნიშნული შელავათის გაცემისათვის საცხოვრებელი სივრცის გამორკვევის დროს იგულისხმება, რომ ამ სივრცეში შედის სამზარეულო,საწინაკარო დერეფანი, ტალანი, აბაზანა, საპირფარეშო და საერთო სარგებლობის სხვა ამგვარი დამხმარე სადგომი. ესევე შღავათი გავრცელდება საცხოვრებლად გამოყენების მიზნით შენობის დამთავრებისა, მიშენებისა, დაშენებისა, გადაკეთებისა და აღდგენის ისეთ შემთხვევებზედაც, რაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით გათანაბრებულია აღნაგობასთან“.

8. დადგენილება ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 35 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1929 წ. იანვრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 24. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 136 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

103. „სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 118 №-ის დადგენილების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 11-ს თარიღისა და 118 №-ის დადგენილებას „სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-7 №-რი, მუხ. 65) დაემატოს მე-10 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ ღონიძიება მიიღონ, რათა სამკურნალო, სასამართლო და სხვა დაწესებულებანი (სოციალური დაზღვევის ორგანოები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები, შემნახველი სალაროები და სხვ.), რომელნიც მოქსახურეობას უწევენ მშრომელთა ფართო მასსებს, აგრეთვე სავაჭრო საწარმონი მუშებს ამ მომსახურეობას უწევდნენ არასამუშაო დროს“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივნისის 27. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 151 №-ში 1929 წ. ივლისის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

104. სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულების დამტკიცების თაობაზე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10-ს დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით — ა/კსფსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აგვისტოს 10-ს დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტისა, რომელი დადგენილებითაც სამოქმედოდ შემოღებულია დებულება სახელმწიფო სარეწაო გადასახადის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 50 №-რი, მუხ- 442),—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 26 მუხლის დანართი „წესები ცენტრალიზებული წესით დასაბეგრავ სასაწარმოთა სათანაბრო გამოსაღების ზედნართისა და აგრეთვე სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგო-

ბათა) საშემოსავლო გადასახადის ზედნართის გამოანგარიშებისა, გადახდევინებისა და ადგილობრივ სახსართა შორის განაწილების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 121).

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების 26 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ამა მუხლით გათვალისწინებული ზედნართების გამოანგარიშებისა, გადახდევინებისა და განაწილების წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 24. ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 152 №-ში 1929 წ. ივლისის 6-ს.

დადგენილება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი

105. პროფესიონალურ კავშირთა მოთხოვნით მომუშავეთა დათხოვნის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ადგენენ:

შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს 1929 მაისის 13-ს თარიღისა და 159 №-ის დადგენილება „პროფესიონალურ კავშირთა მოთხოვნით მომუშავეთა დათხოვნის შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან:
თავმჯდომარის მაგიერ **ხარაბაძე.**

დადგენილება № 159 სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოსი.

1929 წ. მაისის 13.

პროფესიონალურ კავშირთა მოთხოვნით მომუშავეთა დათხოვნის შესახებ.

სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატი და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო ადგენენ:

1. მოთხოვნა--რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 49 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად--მომუშავეთა დათხოვნის შესახებ შეუძლიან განაცხადოს მხოლოდ პროფესიანალურ კავშირთა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციაზე დაბლა არა სდგას; ჯგუფობრივ კომიტეტებსა, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და სხვა, მათ თანაბარ პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციებს ამისთანა მოთხოვნის წარდგენა არ შეუძლიანთ.

2. დამქირავებელი, რომელმაც მიიღო პროფესიონალური კავშირის მოთხოვნა მომუშავის დათხოვნის შესახებ, მოვალეა იმავე დღეს აცნობოს ეს მოთხოვნა მომუშავეს.

3. იმ დამქირივებელს, რომელიც თანახმა არ არის პროფესიონალური კავშირის მოთხოვნისა მომუშავის დათხოვნის შესახებ, შეუძლიან, შვიდი დღის განმავლობაში მოთხვნის მიღების დღიდან, გადასცეს ამ ნიადაგზე პროფესიონალურ კავშირთან აღძრული კონფლიქტი განსახილველად მომრიგებელ კამერას ან სამედიატორო სასამართლოს საერთო წნსისამებრ.

უკეთუ მომრიგებელ კამერაში შესული კონფლიქტი ვერ გადაწყდა ამ კამერაში, დამქირავებელს შეუძლიან გადასცეს ეს კონფლიქტი სამედიატორო სასამრთლოს შვიდი დღის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც მიიღებს შეტყობინებას მომრიგებელ კამერაში კონფლიქტის განხილვის შედეგის შესახებ.

4. იმ მომუშავეს, რომლის დათხოვნის შესახებაც წარდგენილია პროფესიონალური კავშირის მოთხოვნა, შეუძლიან, შვიდი დღის განმავლობაში დღიდნ საამისო შეტყობინების მიღებისა, შეიტანოს განცხადება მოთხოვნის გადასინჯვის შესახებ პროფესიონალურ კავშირთა ზემდგომ ორგანიზაციაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

მომუშავის საჩივარი პროფესიონალურ კავშირთა ზემდგომმა ორგანიზაციამ უნდა განიხილოს შვიდი დღის განმავლობაში დღიდან საჩივრის შეტანისა.

5. მომუშავე, პროფესიონალური კავშირის მოხოვნით, დათხოვნილ უნდა იქნეს მხოლოდ შვიდი დღის ვადის გასვლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც შეიძლება განცხადების შეტანა პროფესიონალური კავშირის მოთხოვნის გადასინჯვის შესახებ (მე-3 და 4 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწ.) და, უკეთუ ასეთი გან-

ცხადება შეტანილ იქნა, მომუშავის დათხოვნა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სათანადო ორგანო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც დადასტურებულ იქნება მოთხოვნა დათხოვნის შესახებ.

სსრკ-ის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ტოლსტოპიატოვი.**

სრულიად საკავშირო პროფესიონალურ
კავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი **დოგადოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 149 №-ში 1929 წ. ივლისის 3-ს.

დადგენილება № 135 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

106. ა/კსფსრ ტერიტორიაზე წყალმზომთა სავალდებულო შემოწმებისა და დადაღვის შესახებ.

რათა ა/კსფსრ მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს წყალმზომებით აღნუსხული წყლის სისწორით გამოანგარიშება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის ივლისის 6-ს დამტკიცებული საზომ-საწონთა დებულების მე-6 მუხლისა („სსრკ მთავრობის ვესტნიკი"-ს 1924 წ. მე-6 №-რი) და ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატისა და ადგილობრივ შემმოწმებელი პალატების დებულებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 484 და 487), ადგენს:

1. ყველა ის წყალმზომი, რაც გამოიყენება წყლისთვის ანგარიშის გასასწორებლად, აუცილებლად შემოწმებულ და დადაღულ უნდა იქნეს ხოლმე პერიოდულად.

2. წყალმზომის სავალდებულო პერიოდული შემოწმება მოხდება სამს წელიწადში ერთხელ.

3. აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს წყალმზომის შემოწმება, თავისი ხარჯით, სამი წლის ვადის გასვლამდისაც, თავისი სურვილისამებრ.

4. წყალმზომის მოხსნასა და დადგმას აწარმოებენ მარტოოდენ წყლის გამცემი ორგანიზაციის აგენტები.

5. წყალმზომების შემოწმებასა და დადაღვას აწარმოებენ, საზომ-საწონთა დებულებით დადგენილ საფუძვლებზე, ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატა და საზომ-საწონთა შემმოწმებელი ადგილობრივი პალატები იმ წესებისა და ინსტრუქციების თანახმად, რასაც გამოსცემს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

6. ყველა საწარმო და უწყება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია, აგრეთვე კერძო პირი, ვისაც-კი წყალმზომი აქვს, მოვალეა წარუდგინოს იგი შესამოწმებლად და დასადაღავად ა/კსფსრ სათანადო შემმოწმებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალატებს ან მათ განყოფილებებს თანახმად ამ უკანასკნელთა მიერ გემოქვეყნებული განცხადებისა და შეტყობინებისა.

7. წყალმზომებს შეამოწმებენ ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატა და საზომ-საწონთა ადგილობრივი შემმოწმებელი პალატები:

ა) ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატისა და საზომ-საწონთა ადგილობრივი პალატების ლაბარატორიებში;

ბ) საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების გარეშე—პალატების შემმოწმებელი შედგენილობა—ყველა იმ საწარმოში, რომელიც წყალმზომების შემოწმებასა და რემონტს აწარმოებს.

ამ შემთხვევაში აღნიშნულ საწარმოთ უნდა ჰქონდეთ სათანადო შემმოწმებელი გაწყობილობა და თვით რეგისტრირებულ უნდა იქნენ ადგილობრივ შემმოწმებელ პალატაში.

8. წყალმზომების სავალდებულო შემოწმება შემოღებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ამა დადგენილების გამოცემის დღიდან.

შენიშვნა. ვიდრე შემმოწმებელი დაწესებულებანი მოაწყობდნენ წყალმზომების შემმოწმებელ ლაბარატორიებს, წყალმზომებს შემმოწმებელი პალატები შეამოწმებენ ბაქოს საბჭოს წყლის მიწოდების განყოფილებისა, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის წყალსადენის განყოფილებისა, ერევანის საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წყალსადენის განყოფილების წყლის საკონტროლო სადგურებზე; ამასთანავე, ხაზინის იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც დასჭირდება შემმოწმებელი დაწესებულებების მიერ შემოწმებისა, ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას, წყალმზომების შემოწმებისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების ორმოცდაათი პროცენტი შედის ხაზინის შემოსავალში, ხოლო ორმოცდაათი პროცენტი—ამ ორგანიზაციების სალაროში.

9. იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც ა/კსფსრ ფარგლებში ეწევა წყალმზომების ვაჭრობას ან რემონტს, შეუძლიან გამოუშვას წყალმზომები მხოლოდ სათანადო დაღის დასმის შემდეგ.

10. წყალმზომი შესამოწმებლად და დასადაღავად უნდა დარჩეს არა უხანგრძლივეს სამი დღედაღამისა; ამასთანავე, წყლის ფასი იმ ხნის განმავლობაში, რაც წყალმზომი შემოწმებისა და დადაღვისათვის იქნება წაღებული, განისაზღვრება წინათვეში გაწეული დღედაღამის საშუალო ხარჯის მიხედვით.

11. წყალმზომების შემოწმებისა და დადაღვის გამოსაღები გადაჰხდება აბონენტს იმ საერთო-საკავშირო ნიხრის მიხედვით, რასაც დაამტკიცებს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომრე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 4. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 140 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

107. **ა/კსფსრ ტერიტორიაზე ლუდისა, ღვინისა, პურის არყისა, სპირტზე დაყენებული ხილის სასმელისა (ნალივკა და ნასტოიკა) და ჭაჭის არყის არამეტრული ბოთლების წარმოების აკრძალვის შესახებ.**

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივნისის 6-ს დადგენილებისა („სსრკ მთავრობის ვესტნიკ"-ის მე-6 №-რი 1924 წლისა), შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1923 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილებისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. თებერვლის 26-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე-12 №-რი, მუხ. 88) თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს 1929 წ. ოქტომბრის 1-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ლუდისა, ღვინისა, პურის არყისა, სპირტზე დაყენებული ხილის სასმელებისა (ნალივკა, ნასტოიკა) და ჭაჭის არყის არამეტრული ბოთლების წარმოება.

2. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ლუდისა, ღვინისა, პურის არყისა, სპირტზე დაყენებული ხილის სასმელებისა(ნალივკა, ნასტოიკა) და ჭაჭის არყისათვის წარ მოებული ბოთლები ყველა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულ საერთო-საკავშირო სტანდარტებს.

3. ღვინისა და სპირტის ნაკეთობისათვის ისეთი ჭურჭლის წარმოება, რომლისთვისაც ჯერ კიდევ დაწესებული არ არის საერთო-საკავშირო სტანდარტები, ხოლო რომლის ტევადობაც შეეფერება დაწესებულ მეტრულ წყვას, ნებადართულია იმ დრომდე, ვიდრე დაწესდებოდეს სათანადო საერთო-საკავშირო სტანდარტები.

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოსცეს ამა დადგენილების განსავითარებლად სათანადო ინსტრუქცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 4. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

108. შრომის ბირჟების მიერ მოწყობილ კოლექტივთა და საწარმოთათვის გადასახადებისა, გამოსაღებისა და ბაჟის გადახდევინების სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ.

„უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად შრომის ბირჟის კომიტეტების მიერ მოსაწყობ საწარმოთა და კოლექტივთა თაობაზე გამოქვეყნებული დადგენილების შეცვლის შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. თებერვლის 15-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-რი, მუხ. 592) დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-11 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივლისის 13-ს დადგენილებისა „უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად შრომის ბირჟის კომიტეტების მიერ მოსაწყობ საწარმოთა და კოლექტივთა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-7 №-რი, მუხ. 467) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. ამა დადგენილების წესისამებრ მოწყობილი საწარმო და კოლექტივი, იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაშია, გარდა—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის იანვრის 8-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 4) თანახმად—მინიჭებული შეღავათებისა, აგრეთვე:

ა) გათანაბრებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან სადგომებისა და კომუნალური მომსახურეობისათვის სასყიდლის გადახდის სფეროში;

ბ) განთავისუფლებულია ა/კსფსრ-სათვის დაწესებული ყველა გამოსაღებისა და ბაჟისაგან, საერთო-საკავშირო გადასახადების ზედნართებისაგან, რაც ადგილობრივ სახსარში გადაიდება, და აგრეთვე ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 4. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 151 №-ში 1929 წ. ივლისის 5-ს.

დადგენილება № 74 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. ივნისის 2.

109. ზემაქსიმალური ჯამაგირების მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

მიუხედავად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 8-ს დადგენილებისა „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიულ კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მოსამსახურეებისათვის პერსონალური ჯამაგირის განსაზღვრის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდ. კრებულის 263 გვ. 1929 წ.) და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. აპრილის 5-სა და მაისის 4-ს ცირკულიარებისა „ზემაქსიმალური ჯამაგირების მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების წესების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ“,—მაინც იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა სათავეში მდგომი პირნი არღვევენ ზემაქსიმალური ჯამაგირების მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის განსაზღვრის წესს და აგრეთვე იზიდავენ სპეციალისტებს ერთი დაწესებულებიდან მეორეში მათი ფაქტიური ჯამაგირის გადიდებით და სხვ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეუწყნარებლად მიაჩნიათ ასეთი მოქმედება, რაც ძირს უთხრის ზემაქსიმალური ჯამაგირის მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგებისა და სამუშაო ხელფასის ფონდების სათანადოდ გამოყენების წესს და,—რათა წინასწარვე აღკვეთილ იქნეს ეს მოვლენა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს და უმაღლ. ეკონ. საბჭოს გაერთიანებული სხდომის ოქმი 1929 წლის მარტის 7-ს თარიღისა და 35 №-ისა),—აღნიშნული კომისარიატები ადგენენ:

აეკრძალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, შერეულ სააქციო საზოგადოებას და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებას, ამ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში სპეციალისტების მიწვევა მათი ფაქტიური ჯამაგირების გადიდებით (სპეციალისტების გადაბირება).

2. ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატებმა უნდა გააძლიერონ ზედამხედველობა, რათა ყველა ზემოაღნიშნულმა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ ზედმიწევნით შეასრულოს წესები ზემაქსიმალური ჯამაგირების (360 მან. მეტი) მქონე სპეციალისტების სამუშაო ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

3. უკეთუ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სათავეში მდგომი თანამდებობის პირნი დაარღვევენ ზემაქსიმალური ჯამაგირების განსაზღვრის წესს და, უკეთუ გაგამოაშკარავებულ იქნება ფაქტი ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში სპეციალისტის მიწვევისა მისი ჯამაგირის გადიდებით,—დასახელებული თანამდებობის პირნი დაუყოვნებლივ მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში იმ წესით, რაც განსაზღვრულია 1929 წ. იანვრის 2-ს კანონით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 31) და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. მაისის 28-ს თარიღისა და 64 №-ის სავალდებულო დადგენილებით—შრომის მომქმედი კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის
სახალხო კომისრის მოადგილე **ვარძიელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 149 №-ში 1929 წ. ივლისის 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

110. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დებულების მე-10 მუხ. დამატების შესახებ.

„შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 2-ს დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-4-რი, მუხ.31)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. № 7, მუხ. 66) მე-10 მუხლს დაემატოს „ო", „პ" და „ჟ" პუნქტები შემდეგი რედაქციისა:

„ო) გამოსცეს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულო დადგენილებანი მუშა-ძალის დაქირავებისა, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის საკითხების გამო, ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელთა დაწესებით";

„პ) განიხილოს საჩივრები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების დადგენილებებზე—შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის გადასახდელის დადების შესახებ„;

„ჟ) მისცეს ხოლმე ა/კსფსრ ყველა დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელთ წინადადება, რის შესრულებაც მათთვის სავალდებულო იქნება,—დააადონ დისციპლინარული გადასახდელი მათ ხელქვევით მყოფ თანამდებობის პირთ შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 152 №-ში 1929 წ. ივლისის 6-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1165. დაიბეჭდა 825.